BioAGRO
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
- CENTER of BIOLOGICAL PROTECTION of PLANTS

39.03.18

19 აპრილი 2018 წ.

კომპანია „დიო“-ს (ს/კ 201946573) აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ თამაზ დაუშვილს

პ/ნ: 01006003392

საექსპერტო დასკვნა

ბატონო თამაზ,

თქვენი ა.წ. 17 აპრილის განცხადების საფუძველზე, შ.პ.ს. „ბიოაგრო“- მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ექსპერტების (შ. ყანჩაველი, ლ. რეხვიაშვილი, კ. კიკორია) მიერ ა.წ. 18 აპრილს ფიტოსანიტარული მონიტორინგი ჩატარდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, „თეთრაანთ ბაღში“ (ს/კ: 01.72.14.034.205) კერძო ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთში ერთ ძირ ალუჩას ხეს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ნაკვეთზე არსებული ერთი ძირი მცენარე არის თვითთამონაყარი ალუჩა, რომლის დიამეტრია 21,0 სმ. ალუჩის ფიტოსანიტარული მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია.

ფოტოები დასკვნას თან ერთვის

შ.პ.ს. „ბიოაგრო“ მცენარეთა ბიოლოგიური
დაცვის ცენტრის დირექტორი კ. კიკორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი შ. ყანჩაველი

ლაბორატორიის უფროსი ლ. რეხვიაშვილი

ტელ.: (+995) 790 685884; ელფოსტა: bioagro.ge@gmail.com; ს.კ. 404922394





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181453116**

თარიღი: **25.05.2018**

ადრესატი:
შპს დიო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 201946573
მისამართი: აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ფარსადანის ქუჩა #3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 23 მაისის #10/01181433137-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (შპს ,,ბიოაგრო"-ს ექსპერტების 2018 წლის 19 აპრილის საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ შპს ,,დიოს'' კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ,,თეთრაანთ ბაღები'' ს.კ. #01.72.14.034.205) მწვანე ნარგავის მოჭრის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს 25-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრა საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას. ვინაიდან თქვენს ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ერთეული ხილ-კენკროვანი ნარგავი (ალუჩა), მისი მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა, უნებართვოდ მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი